30.09.2011 წელი

საქართველოს შრომის, ჯადაცვის და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ ანდრია ურუშაძეს

ასლი: სსიპ მომსახურების სააგენტოს დირექტორს,
ბატონ ირაკლი ნადარეიშვილს

მოგესალმებით,

როგორც მოგეხნებათ, 2011 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"–ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"–ს საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქ. ქუთაისში, პ. იაშვილის ქ.#11–ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა–ნაგებობები. ამავე ხელშეკრულების თანახმად, სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"–ს დაევალა ხელშეკრულების დანართი #3–ში მოხსენიებული კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე აღნიშნული ორგანიზაციების უძრავ–მოძრავი ქონებაზე იჯარის ხელშეკრულებების გაფორმება და დანართი #4–ში მოხსენიებულ სამედიცინო დაწესებულებებში არსებული სერვისების უწყვეტობის შენარჩუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამედიცინო დაწესებულებებში დაბადებისა და გარდაცვალების ფაქტის დადგენაზე თქვენს უწყებაში პასუხისმეგებელ პირებად რეგისტრირებულ პიროვნებებს 2011 წლის 01 ოქტომბრიდან შეუწყვიტოთ უფლებამოსილება და აღნიშნულ პირები ამავე თარიღიდან დაარეგისტრიროთ, როგორც სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"–ს პასუხისმგებელი პირები სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"–ს ფილიალებში (წერილს თან ერთვის ზემოხსენებული ხელშეკრულების დანართი #4–ში მითითებული სამედიცინო დაწესებულებების – 2011 წლის 01 ოქტომბრიდან სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"–ს ფილიალების სია).

პატივისცემით,

სოფიო ანდღულაძე
სს „ჩემი ოჯახის კლინიკა"–ს უფლებამოსილი წარმომადგენელი

საქართველო, ბათუმი 6010, ერას ქ. 82, 82 Era Str., Batumi 6010, Georgia; ტელ./Tel.: (888222) 77064, 74861, 74862.
საქართველო, თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. 34, 34 Griboedovi Str., Tbilisi 0108, Georgia;
ტელ./Tel.: 555 111, 999 105, 999 205, 550 332. customerservice@mfc.ge